პოტენციური რისკების მართვა დამოუკიდებელი დირექტორის საქმიანობაში

დამოუკიდებელი დირექტორის არჩევა ახდენს ამ პიროვნების ასოცირებას კომპანიასთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან და შესაბამისად მოიცავს ამ პიროვნების რეპუტაციულ, და შესაძლოა, ფინანსურ და იურიდიულ რისკებს.

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა მოიცავს რისკების მართვის და შიდა კონტროლის ძირითად ელემენტებს და მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი დირექტორისათვის მისაღები იყოს მათი გამართულობა და ეფექტურობა. დამოუკიდებელი დირექტორი არა მხოლოდ იზიარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას რისკების მართვაზე, არამედ იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შიდა კონტროლის არსებობაზე და გამართულ მუშაობაზე.

რისკი არის ბიზნესის თანამდევი ნაწილი. რისკების მართვა გულისხმობს რისკების აღმოჩენას, შეფასებას, მონიტორინგს და შემსუბუქებას და არა აუცილებლად მათ აღმოფხვრას. რისკები, რომელსაც ბიზნესი აწყდება, იცვლება მუდმივად. სისტემა უნდა ახერხებდეს ადაპტირებას, ძირითად პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას და აკონტროლებდეს ბიზნესის უწყვეტობას, ახდენდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგებას იმდენად ოპერატიულად, რამდენადაც შესაძლებელია, იმისათვის რომ საბჭო იყოს ინფორმირებული და შეძლოს პრობლემაზე რეაგირება. შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა არის რისკების მართვის მთავარი პირობა. უნდა არსებობდეს გასაგებად შედგენილი და დამტკიცებული პროცედურების კრებული, როგორც ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი, და უნდა ხდებოდეს პერიოდული გადამოწმება, იმისათვის რომ პროცედურებმა ეფექტურად იმუშაოს.

გასულ პერიოდში კორპორაციულ სკანდალებში ხშირად მეორდებოდა თემები, რომლებიც მოიცავდა ყალბ აღრიცხვიანობას, ერთი ან რამოდენიმე ხელმძღვანელი პირის ან დირექტორების მიერ თაღლითობას, გადასახადების დამალვას, შიდა კონტროლის არარსებობას, ერთპიროვნულად მმართველ მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ან საბჭოს თავმჯდომარეს, ან მნიშვნელოვან სტრატეგიულ შეცდომებს. პასუხისმგებლიანი დამოუკიდებელი დირექტორი, რომელიც იღებს საჭირო რჩევებს, არ უნდა იგდებდეს თავს იმ მდგომარეობაში, როდესაც დადგება მისი გათავისუფლების საკითხი მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით.